საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 22 0001362078

26/10/2022

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 31 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 27 ივნისის №01-09/75 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №731768, 29/06/2022) შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე. ცენტრის 2022 წლის 04 ივლისის №755112 წერილით, დაწესებულებად დაუდგინდა ხარვეზი. 2022 წლის 07 ივლისს №80 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №781656 08/07/2022) ცენტრში შემოვიდა ხარვეზის გამოსწორების წერილი, ხოლო 11 ივლისს შემოვიდა დამატებითი №01-09/84 წერილი (ცენტრში რეგისტაციის №789107), რომელშიც ტექნიკური ხარვეზის გამო დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული თვითშეფასების დოკუმენტი. ცენტრის 2022 წლის 14 ივლისის №801916 წერილით დაწესებულებას კვლავ დაუდგინდა ხარვეზი, რომელიც დაწესებულებამ გამოასწორა 2022 წლის 15 ივლისის №01-09/87 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №808324). "შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 26 ივლისის №841465 ბრძანების შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ 2022 წლის 02 აგვისტოს №01-09/92 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №868035) ცენტრში წარმოადგინა აკრედიტაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრის 2022 წლის 12 აგვისტოს №900631 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 01 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,	√			

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2022 წლის 11 ოქტომბერს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს **შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის** მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ **ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია ***2024 წლის 31 დეკემბრამდე,*** 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა **ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის №1362076 სხდომის ოქმის № 05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ, დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, პროგრამის მიმართულებისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით არჩევითი-სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს გეოგრაფია;
3. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.
4. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული შეფასების სისტემა, კერძოდ, საჭიროა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა და დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების კრიტერიუმების განმარტების გზით.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის განახლება, კერძოდ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა 2014 წ), კალკულუსი ბიზნესისათვის I და II (2010 წ); ინოვაციური მენეჯმენტი (2017 წ).
2. სასურველია პრაქტიკის აღნიშნული სილაბუსების დახვეწა, კერძოდ პრაქტიკის კომპონენტის ერთი სილაბუსის სახით ფორმირება, სადაც ასევე იქნება დეტალურად გაწერილი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნისას შესასრულებელი საქმიანობის დროის განაწილება.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე **(2023 წლის 26 აპრილამდე).**
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ***2022 წლის 26 ოქტომბერს.***

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	- -
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	- -
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	- -
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0101, სამღერეთის ქ. 5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 26 ოქტომბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	26/04/2023
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2024